როგორ ხდება სკოლის მიერ სპეციალური მასწავლებლის და ინკლუზიური განათლების სპეციალისტების აყვანა

ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის შერჩევა საჯარო სკოლის მიერ ხდება კონკურსის წესით. მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნაში არსებობს სპეციალისტების ჩამონათვალი, შეფასების შედეგად მხოლოდ გუნდია პასუხისმგებელი განსაზღვროს სსსმ მოსწავლისთვის საჭირო სპეციალისტი ან სპეციალიტების ჩამონათვალი, მხოლოდ ამის შემდეგ საჯარო სკოლა ახორციელებს შესაბამის თანმიმდევრულ პროცედურებს კადრის აყვანის მიზნით 2018 წლის 21 თებერვლის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №16/ნ – შესაბამისად.

კონკურსის პრინციპებია

ა) კანონიერება;
ბ) სამართლიანობა;
გ) საჯაროობა;
დ) გამჭვირვალობა;
ე) არადისკრიმინაციულობა;
ვ) ობიექტურობა;
ზ) მიუკერძოებლობა.

კონკურსის გამოცხადება

1. ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის შერჩევის მიზნით კონკურსი ცხადდება საჯარო სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
2. განცხადება ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ უნდა გამოქვეყნდეს საჯაროდ, ინტერნეტსივრცეში არსებულ დასაქმების ვებ-გვერდზე (მათ შორის www.pedagogi.ge-ზე).
3. ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) შესაბამისი საჯარო სკოლისა და ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის დასახელებას;
ბ) კანდიდატის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს;
გ) შესასრულებელ სამუშაოს;
დ) შრომის ანაზღაურების ოდენობას;
ე) განცხადებისა და სხვა აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის ვადას;
ვ) შესაბამისი საჯარო სკოლის მისამართს;
ზ) კონკურსის ეტაპებს;
თ) კომისიის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების ვადას;
ი) სხვა ინფორმაციას შესაბამისი საჯარო სკოლის გადაწყვეტილებით.

კომისიის შექმნა

1. კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 3 წევრისაგან.
3. კომისიის შემადგენლობაში შეყვანილ უნდა იქნეს არანაკლებ ერთი მულტიდისციპლინური გუნდის წევრი.
3. კომისიის წევრად შეიძლება მოწვეულ იქნეს შესაბამისი ორგანიზაციის წევრი/წევრები (პირები, რომლებიც სამსახურებრივად არ არიან დაკავშირებულნი შესაბამის საჯარო სკოლასთან).

კონკურსის ჩატარების ფორმები და პირობები, ხელშეკრულების გაფორმება

კონკურსი შესაძლებელია მოიცავდეს შემდეგ ეტაპებს:
ა) განცხადების გადარჩევა;
ბ) წერითი დავალება;
გ) ტესტირება;
დ) გასაუბრება

იმისთვის, რომ კონკურსი იყოს ობიექტური, გადაწყვეტილების მიღება კანდიდატურის შერჩევისთვის ხდება კენჭისყრითა და გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით. განცხადების გადარჩევას უზრუნველყოფს კომისია, კონკურსის ორგანიზებულად ჩატარებას უზრუნველყოფს შესაბამისი საჯარო სკოლა. ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ სპეციალისტთან შრომით ხელშეკრულებას აფორმებს შესაბამისი საჯარო სკოლის დირექტორი.

MAC GEORGIA